საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელეგი

ელეგი (თურქ. elek), კაცისა და ქალის მოკლე ზედატანი. გავრცელებული იყო უმთავრესად გურიაში, აჭარასა და ლაზეთში, ხოლო როგორც ქალის ტანსაცმელი – სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმსა და აფხაზეთში. მამაკაცის ე. დასავლურ ქართული ჩაქურას კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი იყო, რ-საც ჩოხის ქვეშ და ახალუხის (ზუბუნი) ზემოდან იცვამდნენ. ე-ის თარგი წარმოადგენდა წინა ორ კალთას, ზურგს, სახელოებსა და საყელოს (ზოგჯერ უსახელოდაც ამზადებდნენ). ქალის ე. ხშირად ყაითნითა და ნაქარგით იყო გაწყობილი. ე-ის გამოყენება XX ს. 30-იან წლებამდე დასტურდება.

ლიტ.: საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა. მეგზური, თბ., 1958; შ ა რ ა შ ი ძ ე გ., გურული ლექსიკონი, თბ., 1938.

ც. ბეზარაშვილი